Just like Don Quixote

მერაბი

- სირცხვილია ხალხი რას იტყვის?!

ამ სიტყვებზე შეცბა, მარჯვენა დაძარღვული და მზეზე ხშირი შრომისაგან გაშავებული ხელით მარჯვენა თვალი მოისრისა, ნელა, ბებრულად წამოდგა, როგორც შეეძლო გასწორდა წელში და ბუზღუნით წავიდა თავისი ოთახისკენ.

- მოდის თუ რას შვება? - მიჩურჩულა რუსიკომ.

- მგონი მოდის - ვუპასუხე და თან ცალი ყური მამაჩემის ოთახისკენ მქონდა, ვცდილობდი იქიდან გამოსული ხმაურით გამეგო რას აკეთებდა.

მალევე გამოვიდა, საგარეოდ გამოწყობილიყო, ძველი პიჯაკი და შარვალი ეცვა და ახლა კიდევ უფრო კარგად ჩანდა რომ სიბერემ დააჩიავა და დააპატარა, რაღაცით იმ საფრთხობელას ჰგავდა ბოსტნის ბოლოში თვითონვე რომ დააყენა ამ გაზაფხულზე. ცალ ხელში ტყავის ჩემოდანი ეჭირა ზუსტად ისეთი მამამისს მუდამ გამზადებული რომ ედო კართან ვინიცობაა ღამით ტყავისქურთუკიანები მოსულიყვნენ მის წასაყვანად მოუსავლეთში, ან შეიძლება ისეთი კი არა სწორედ ის ჩემოდანი იყო. მეორე ხელში კი უზარმაზარი ბოქლომი.

- წავედით! - უთხრა სახლის წინ ამოზრდილ ბებერ ნიგოზს და ჭიშკრისკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა. იასამნის ბუჩქებს შორის სიკვდილმისჯილივით მიდიოდა, ეს იასამნები თვითონ დარგო ამ ოცი წლის წინ როცა სოფელში გადამლსვლა გადაწყვიტა საცხოვრებლად. იასამანთან ერთად კიდევ ბევრი რამე დარგო, მაგრამ ვერაფერმა იხარა, იასამნები კი ყოველ გაზაფხულზე ყვავილობდნენ და ვინ იცის, ოდესმე სტუმრად რომ მოსულიყო ვინმე ამ ეზოში, შეიძლება თავისი თაბრუდამხვევი სურნელითაც კი გაებრუებინათ. მე და რუსიკოც უკან მივყევით, ოღონდ ჩუმად და ფეხაკრეფით, არ ვიცი მეშინოდა მოხუცი მამაჩემი ხმაურზე არ დამფრთხალიყო და არ გადაეფიქრებინა თუ რა იყო, მაგრამ ინსტინქტი გვკარნახობდა რომ უხმოდ უნდა გაგველო გზა სახლიდან მანქანამდე.

სოფლის გზას ქვემოთ დავუყევით, ხრეში რითაც ეს გზა იყო მოფენილი სასიამოვნოდ ხმაურობდა საბურავების ქვეშ, ზემოთ, სოფლის განაპირას სულ უფრო შორს რჩებოდა ასწლოვანი ნაძვების ტყე, ქვემოთ სულ უფრო ახლოვდებოდა ჩვენო სოფლის უსახელო მდინარე, უფრო ღელე, მდინარეს გაზაფხულზე ემსგავსებოდა ხოლმე, ახლა კი სანამ წვიმები დაიწყებოდა ძლივს მოწანწკარებდა ქვებს შორის, პატარებს კი ასველებდა, მაგრამ დიდრონებს ვეღარ სწვდებოდა ისინიც თეთრად ქათქათებდნენ კამკამა ნაკადის ზემოდან.

ასფალტზე რომ გავედით მამაჩემმა კიდევ ერთხელ მოისრისა მარჯვენა თვალი მარჯვენა ხელით და ისე ამოიოხრა თითქოს შრომის, ჯაფის და უძილო ღამეების ის ოცი წელი რაც სოფლად გაეტარებინა თან ამოაყოლაო.

ოცი წლის წინ როცა მამაჩემმა გადაწყვიტა რომ ცხოვრების ნირი მთლიანად შეეცვალა და ქალაქელი ცოტათი საქმოსანი, ცოტათი კრიმინალი და ცოტათი კოლორიტი ადამიანიდან მთლიანად სოფლელ გლეხად გადაქცეულიყო, ჩვენს სოფლეში არ იყო არც გზა, არც წყალი, არც მუდმივი ელექტროენერგია სხვა სიკეთეებზე რომ არაფერი ვთქვათ, იყო მხოლოდ ხალხი, ზამთარში, შემოდგომაზე და გაზაფხულზე ათიოდ კომლი ადგილობრივები. ზაფხულში კიდე

ერთი იმდენი დამსვენებლები, რომლებსაც მაშინ დაჩნიკებს ეძახდნენ. სოფელი მაღალმთიანი იყო და მიწა მოუსავლიანი, მაგრამ მამაჩემი შრომობდა, მამაჩემი აწუხებდა ადგილობრივ ხელისუფლებას, მამაჩემი ყველაფერს აკეთებდა რომ სოფელი სოფელს დამსგავსებოდა, თუმცა, უშედეგოდ: რაც დარგო და დათესა არაფერმა გაიხარა, ძროხა დათვმა შეუჭამა, თხები მგლებმა, ღორები ფოცხვერმა დაგლიჯა; წყალი ვერ გამოიყვანეს; გზაზე ასფალტი ვერ დააგეს, მაგრამ მამაჩემი არ ცხრებოდა და ყველას უკვირდა ეს ქალაქელი კაცი: ცოტათი საქმოსანი, ცოტათი კრიმინალი და ცოტათი კოლორიტი რას გადააკვდა ამ უიმედო სოფელსო. თუმცა, კიდევ უფრო მეტად ის უკვირდათ რომ მამაჩემს სოფელში საცხოვრებლად გამოჰყვა დედაჩემი, ისიც ქალაქელი, ერთ დროს თითით საჩვენებელი ლამაზმანი; მდიდარი და წარმატებული ოჯახიდან, განათლებით ექიმი, მოწოდებით, როგორც მაშინ იტყდონენ, მოდნიცა - სოფელში გადმოსვლის შემდეგაც კი არავის უნახავს უმაკიაჟოდ ძროხისა და ღორების ჩათვლით. უჭირდა დედაჩემს სოფლის ცხოვრება, განა არ უჭირდა, მაგრამ თხუთმეტი წლის განმავლობაში არც სიტყვით, არც გამოხედვით, არც მიმიკით არ უგრძნობინებია მამაჩემისთვის ეს რა მიქენი, ეს სად წამომიყვამნეო. დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ მამაჩემის რაღაც ნაწილიც მოკვდა - მას შემდეგ აღარაც არაფერი დაურგავს, არც შინაური ცხოველები ჰყოლია, მარტო კარტოფილი მოჰყავდა და ეგ იყო. სოფელიც ნელ-ნელა დაცარიელდა, ყველა წავიდა: ზოგი ქალაქში, ზოგიც იმ ქვეყნად. ბოლოს მთეს სოფელში მამაჩემი, მისი ბებერი ძაღლი და მამაჩემზე კიდევ უფრო მოხუცი აბესალომი და მისი ბერწი ძროხა დარჩნენ.

- ბავშვები სად ჩავლენ ზაფხულობით? სახლს მოვლა არ უნდა? - მპასუხობდა მამაჩემი ყოველთვის როცა ვეუბნებოდი რომ ქალაქში უნდა გადმოსულიყო.

- ვერა ხედავ აღარ დადიან ბავშვებიც, დენი აქ არ გაქვთ და ინტერნეტი, რა უნდა აკეთონ? - ვუხსნიდი ყოველ ჯერზე. მამაჩემი პასუხად მხოლოდ ბრაზდებოდა და რაღაც გაურკვეველს ჩაიბუზღუნებდა.

ბოლოს და ბოლოს იქამდეც მივედი ვუთხარი მეც ვეღარ ჩამოვალ მეთქი, ამ საშინელ გზაზე მანქანაც ფუჭდება და დროსაც ტყუილად ვკარგავ-მეთქი. ვტყუიდი რა თქმა უნდა, ჩამოვიდოდი აბა მოხუც მამას უპატრონოდ ხომ ვერ დავაგდებდი, მაგრამ მოხუცები ბავშვებივით არიან, მიამიტურად დაიჯერა ჩემი ნათქვამი, ადგა და თავის ოთახში ჩაიკეტა. ამის მერე კარგა ხანი აღარაფერი მითქვამს, მაგრამ დრო გადიოდა, მამაჩემს წლები ემატებოდა და უფრო და უფრი მიჭირდა მისი სოფლად დატოვება. ბოლო საუბარიც ბავშვებით დაიწყო: - მე რო პატარა ვიყავი არც მაშინ იყო დენი, ტელევიზორი და ეს ინტერნატია თუ რაღაცა, მაგრამ ბაბუაჩემი ეგერ საქარიის ტყეში რომ წამიყვანდა ზეიმი მქონდა, ათას ახალ რაღაცას ვიგებდი: იმ მცენარეს რა ქვია, ეს მცენარე რას შველის, ის რისი ნაკვალევია. დავიჯერო საბას არ აინტერესებს ეგეთები?

- მამა, საბას აინტერესებს ახალი ჯეტეა როდის გამოვა და მორჩა, რა ნაკვალევი და რა დათვის განავალი კაცო?!

- ეეჰ - ხელი ჩაიქნია მამაჩემმა და ასწლოვანი ნაძვების ტყეს, საქარიას გახედა, მუხლი აღარ უჭრიდა ძველებურად თორე, ამ ათი წლის წინაც კი ყოველ დილით ქამარზე ბებუთს დაიკიდებდა, მხარზე წალდს გაიდებდა და საქარიისკენ მიდიოდა. ხან ხეს მოჭრიდა შეშისთვის თუ ღობის გასამაგრებელი ბოძისთვის, ხან სოკოს მოკრეფდა, ერთი-ორჯერ ველური მარწყვიც ჩამოიტანა, მაგრამ ახლა უკვე ვეღარ ადიოდა, გზად კაიხელა აღმართი უნდა აევლო და ტყეც სერზე იზრდებოდა.

- ამ ზამთარსაც აქ რომ დარჩე და რამე დაგემართოს, როგორ ამოვიდე? ან როგორ გაგვაგებინებ? ფილტვების ანთება რომ გქონდეს და ვერ გადაიტანო გიფიქრია? სირცხვილია, ხალხი რას იტყვის?

ამან დააფიქრა, „ხალხი რას იტყვის“ გამოდგა ის უნივერსალური არგუმენტი, რამაც დაათმობინა თავის ხელით გალამაზებული ეზო, გამაგრებული სახლი და საყვარელი მეუღლის საფლავი, რომლის გვერდითაც მიწის პატარა ნაგლეჯი აგერ უკვე ხუთი წელია ელოდა მას.

ახლა იჯდა მანქანაში ჩემს გვერდით, ტუჩები მაგრად მოუკუმა, თითქოს ეშინია რამე დასაძრახი სიტყვა არ გამომექცესო და მალიმალ გაჰყურებდა სარკეში ნაძვნარს რომელიც სულ უფრო და უფრო კარგავდა ნაძვების ფორმას და ერთ დიდ, მუქ მწვანე ლაქად იქცეოდა.

სამსონა

- რა მინდოდა? სად მოვდიოდი? ხო ვიყავი ჩემთვის? მაგრამ ესენი რო შეგიჩნდებიან... ჭიშკარი ჩავკეტე? ჰო, კი, ჩავკეტე. თუნთია უნდა წამომეყვანა, აბესალომა თავის თავს ვერ უვლის იმას რას მოუვლის?! წელს დიდი თოვლი უნდა იყოს ზაფხულში ისეთი სიცხეებია, გადმომთოვლი არავინაა და ჩაანგრევს სახურავს, გააფუჭებს ყველაფერს. არა, არ უნდა წამოსვულიყავი. სულ დამშრალა ეს უბედური.

მანქანამ ასფალტიან შარაზე გაუხვია და რაკი ჯაყჯაყი შეწყდა, ხმასაც არავინ იღებდა სამსონას მიეძინა და როდის, როდის გამოეღვიძა. უკვე ქალაქში შედიოდნენ თვალი რომ გაახილა და პირველი რაც დაინახა ის ნისლივით ბუღი იყო ამ ქალაქს ზამთარ-ზაფხულ გარს რომ ერტყა ხოლმე.

- აქ როგორ სუნთქავენ? ან ის ბავშვები არ ეცოდებათ?

მანქანა ნელა მიიკვლევდა გზას სხვა მანქანების ნაკადში, ქალაქის ქუჩები სავსე იყო ხმაურით და ნერვიული ადამიანებით - ვიღაცა ვიღაცას ეჩხუბებებოდა, აგინებდა, უსიგნალებდა; სხვა პასუბოდა, კიდევ მეტად უყვიროდა, უფრო უშვერად აგინებდა და უფრო გაბმულად უსიგნალებდა. სამოსონას კიდევ უფრო მოენატრა თავისი მშვიდი სოფელი, პატარა აივანი სადაც საღამოობით იჯდა და კაკლის ხის ფოთლებში მზის ჩასვლას უყურებდა, თუნთია კი ფეხებთან იწვა და სიზმარში ვიღაც უხილავ მტერს უღრენდა დრო და დრო; მოენატრა თავისი მორყეული ჭიშკარი, აბესალომას ეული ძროხა, რომელსაც კაცმა არ იცის რისთვის ინახავდა; მოენატარა საქარიას ტყე და წიწვის სუნი; მოენატარა ის მიწის ნაგლეჯი, რომელიც ანიკოს საფლავის გვერდით აგერ უკვე ხუთი წელია ელოდა.

მანქანამ მკვეთრად დაამუხრუჭა და სამსონა ფიქრებიდან გამოერკვა.

- შენ და რუსიკო ადით მე მანქანის გასაჩერებლს ვიპოვი სადმე და ამოვალ - უთხრა მერაბმა და თვალით ტრორტუარის ჩაყოლებაზე ცარიელ ადგილს დაუწყო ძებნა.

სამსონამ თავისი ძველი ჩემოდანი რუსიკოს არ დაანება, არც ეგეთი ბებერი ვარ ჩემი ნივთები სხვას ვატარებინოო, ტყავის სახელური მძლავრად ჩაბღუჯა და ნახევრადჩაბნელებულ და შარდის სუნით გაჟღენთილ სადარბაზოში შეაბიჯა.

მერაბს ჩეხური პროექტის სამოთახიან ბინაში მესამე საძინებელი ლოჯიაში მოეწყო, ბინა იაფად თუმცა გემოვნებით გაერემონტებინა რაც მოუწესრუიგებელ სადარბაზოსთან კაი გვარიან კონტრასტს ქმნიდა და მომსვლეს მაშინვე ხვდებოდა თვალში. რუსიკოც ისეთ ადამიანების

რიცხვს განეკუთვნებოდა სისუფთავსთან რაღაც განსაკუთრებული, თითქმის ავადმყოფური დამოკიდებულება რომ აქვთ, იატაკს დღეში სამჯერ ხეხავდა, ჭურჭელსა და სარეცხს მხოლოდ ხელით რეცხავდა და არასდროს სარეცხი მანქანით(გნებავთ ჭურჭლის და გნებავთ ისე), რომლებიც სულ ტყუილად ეყიდა მერაბს ამ სამიოდე წლის წინ და სადმე რესტორანში თუ მოხვდებოდა იქაურ დანა-ჩანგალსა, ჭიქებსა და თეფშებს ჯერ საგულდაგულოდ გაწმენდდა ხელსახოცით და მერე გეახლებოდათ საკვებსა თუ დასალევს. ამიტომ მერაბის ბინაში მუდამ სისუფთავისა და სხვდსხვა ქიმიური საწმენდი საშუალებების სუნი იდგა. სამსონამ ფეხსაცმელი კართანვე კი გაიხადა, მაგრამ ოფლიანი კვალი მაინც დატოვა იატაკზე, რამაც რუსიკოს ტუჩები ზიზღისაგან დაუმანჭა და ხელი უნებლიედ გაექცა იატაკის საწმენდი ჯოხისაკენ.

ბავშვები მისაღებ ოთახში ისხდნენ: თორმეტი წლის საბა, ასაკისათვის შეუსაბამოდ მაღალი და მსუქანი ბიჭი, გრძელი , შავი ხუჭუჭა თმითა და თოვლივით თეთრი კანით, რომელიც მობილურ ტელეფონს ჩაშტერებოდა და ექვსიოდე წლის ბარბარე, კნაჭა, ქერა გოგუცუნა, ლურჯი თვალებითა ხორბლისფერი კანით, რომელიც პლანშეტურ კომპიუტერში უყურებდა რაღაც სახალისო ვიდეოს. ბაბუს დანახვისას ბარბარემ შეჰკივლა: ბაბუუ და ჩასახუტებლად გაიქცა, საბამ კი წამით ასწია თავი მობილური ეკრანიდან, უემოციოდ ჩაილაპარაკა: ვა, ბაბუ. და მერე ისევ თავის საქმიანობას დაუბრუნდა.

- ეგ ინერნატია რო დაგღუპავთ - გაიფიქრა სამსონამ და პატარა ბარბარე ცალი ხელით აიტაცა. მეორეში ჯერ კიდევ ეჭირა მამისეული ჩემოდანი.

საბა

დილით ბაბუმ გამაღვიძა, ჯერ გათენებული არ იყო, შემანჯღრია და თვალი რომ გავახილე თითი ტუჩთან მიიტანა, ჩუმადო მანიშნა

- ყველაფერი გაამზადე? - მკითხა ძალიან ჩუმად

- Yes, sir - ვუპასუხე ჩურჩულით და ბოისკაუტის მისალმებით მივესალმე.

ბაბუმ ღიმილით ჩაიქნია ხელი ვერაფერი გავიგეო და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა. მეც წამოვხტი, ჩავიცვი, ჩანთას დავავლე ხელი და გავყევი.

ქუჩაში საშინლად ციოდა და ძალიან ვინანე რომ ბაბუს არ დავუჯერე და ჯინსის ქვეშ სპორტული შარვალი არ ჩავიცვი, მაგრამ არ შევიმჩნიე.

- საქმის არსს დავუბრუნდეთ, ესე იგი შენ და ბაბუაშენი წინასწარ იყავით შეთანხმებული? - გამომძიებელმა რუსიკოს და მერაბს გადახედა ზედმეტს ხომ არაფერს ვამბობო.

- კი, ბაბუ რო ჩამოვიდა სუ ტელევიზორს უყურებდა, I don’t get that generation…

- ქართულად თუ შეიძლება.

- Generation როგორაა ქართულად?

- თაობა, შვილო - შეეშველა რუსიკო, რომელიც ხან საბას უყურებდა და ხანაც გაურკვეველ ლაქას პოლიციის განყოფილების დაკითხვების ოთახის ფანჯარაზე.

- არ მესმის ამ თაობის, ტელევიზორს რატომ უყურებენ საერთოდ? მაგრამ ნუ უყურებდა, განსაკუთრებით შემეცნებითი არხები მოსწონდა. ერთხელაც დისქავერიზე იყო, იმაზე გადაცემა, აი, რო ტრიალებს

- ბზრიალა?

- არა, დიდია და it makes electricity… ანუ, დენს აკეთებს

- ქარის გენერატორი - ამჯერად მერაბი მიეშველა.

- ჰო, ეგა და მერე მითხრა რო აი მაგ შენს ინტერნეტშიო ხომ ყველაფერიაო და ნახე როგორ კეთდება ეს გენერატორიო, მეც დავუგუგლე ვიდეოები, სტატიები და ორი თვე უჯდა და მერე უცებ მეუბნება რომ ვიციო უკვე როგორც უნდა გავაკეთოო, დავდგამ ჩვენთან სოფელშიო დენიც გვექნებაო და ინტერნეტიცო და ხომ ჩამოხვალ ხოლმეო? მეუთხარი, რავიცი აბა, ბაბუ თუ წამომიყვანენ ჩამოვალ მეთქი და ძალიან გაუხარდა. მერე კიდე უყურებდა ამ გენერატორზე და კითხულობდა ბევრს და ერთ დღესაც მოწყენილი იჯდა და რა გჭირს მეთქი, მარტო ვერ ვიზამო, აბესალომა ვერ მომეხმარება ძლივს დადისო და სხვებს ვერ ვეტყვი გიჟი ვეგონებიო. ისეთი საცოდავი იყო, ისე იჯდა - აქ საბამ განსახარია მხრებჩამოყრილი, მობუზული კაცი, რომელიც რაღაცის განუზომელ დარდს ატარებს - აი, ასე... რო შემეცოდა და მეთქი მე მოგეხმარები, მითხარი რა უნდა გავაკეთო და გავაკეთებ მეთქი.

- და დაგთანხმდა?

- თავიდან არა, მაგრამ ისე ძალიან უნდოდა სოფელში დაბრუნება ისე ძალიან რო

გამომძიებელმა საბას მშობლებს გადახედა და მერე ისევ ბავშვს დაუბრუნდა: - და როგორ წახვედით?

- მე მქონდა ყულაბაში ცოტა ფული, ბაბუც პენსიას აგროვებდა და ტაქსით წავედით, თან რაღაცები ვიყიდეთ, კონსერვები, ისა, ხერხი, ნაჯახი, ცოტა კაბელები დანარჩენი იქ მაქო, მარა სოფელში ტაქსი ვერ ავიდა, თოვლი იყო და ვერ ავალო. ბაბუმ სულ ექვსი კილომეტრია ფეხით შეგვიძლია ავიდეთო, მაგრამ ზურგჩანთები ძალიან მძიმე იყო, თან კიდე თოვდა და მეუთხარი there is no chance მეთქი. მაშინ აქ დამელოდეო და სადღაც წავიდა, კინაღამ გავიყინე სანამ ველოდი. სადღაც ერთ საათში მოვიდა, უკვე ბნელდებოდა თან მოიყვანა ცხენი და donkey როგორაა ქართულად? ჰო, ვირი. გადავანაწილეთ ბარგი ზოგი ცხენზე, ზოგი ვირზე. მერე ჩვენც დავჯექით: მე ვირზე იმიტო რო ბაბუმ მითხრა ცხენი საშიშია, არ იცი ჯერ ჯდომაო, თვითონ ცხენზე და წავედით ზემოთ ჩვენი სოფლისკენ. რო დავიძარით გამეცინა და რა გაცინებსო ბაბუმ და მეთქი ნახე როგორები ვართ just like Don Quixote მეთქი, მაგრამ მაგარი ქარი უბერავდა და ეტყობა ვერ გაიგო. ბაბუ წინ მიდიოდა მე ჩემი ვირით უკან მივყვებოდი. ამასობაში თოვამ იმატა ისე თოვდა რომ ხანდახან ბაბუს და მის ცხენს ვეღარ ვხედავდი ხოლმე. ნახევარი გზაც არ გვქონდა გავლილი დაბნელება რომ დაიწყო, შორს ორი მანათობელი წერტილი გამოჩნდა, შემეშინდა და ბაბუს დავუძახე, მაგრამ ქარი იყო და არ ესმოდა. მერე კიდე ორი წერტილი გაჩნდა, მე თან ვყვიროდი: ბაბუ, ბაბუ! და თან ვცდილობდი ვირი ამეჩქარებინა. წერტილები მრავლდებოდა და ახლოვდებოდა ბაბუ კიდე არ ჩანდა. უკვე დავინახე რომ ის წერტილები მგლის თვალები იყო, მგელი იღრინებოდა და მოგვსდევდა, ჩემი ვირი ცდილობდა ნაბიჯი აჩქარებინა, მაგრამ იმხელა ტვირთი, პლუს კიდე მე... თოვლში ღრმად ეფლობოდა და სულ მალე პირველი მგელი დაგვეწეოდა კიდეც ან მე ჩამავლებდა ფეხში პირს ან ჩემს ვირს მიახტებოდა, მაგრამ უცებ ღრიალი გაისმა, მგელს რაღაც მოხვდა და წკუმუტუნით გადავარდა ბუჩქებში, მერე მეორე მგელმა ატეხა წკუმუტუნი, ვერ მივხვდი რა იყო, მაგრამ რაღაც მგლებზე უფრო საშიში რომ იყო მაგას მივხვდი, ჩამოვხტი ვირიდან გავიქეცი იქით საითაც ბაბუ მეგულებოდა. წავიქეცი, ძლივს ავდექი და ისევ გავიქეცი, კიდევ წავიქეცი, ვცადე, მაგრამ ვეღარ ავდექი, ვიფიქრე ცხოველები ვირზე გადაერთვებოდნენ და ცოტა ხანი რომ დავისვენო ამ

თოვლში არაფერი მოხდებამეთქი, თვალებიც მეხუჭებოდა, სადღაც შორს ისმოდა ვირის საცოდავი ყროყინი, მგლების წკუმუტუნი, უცხო არსების ღრიალი და ბაბუს ხმა: საბა, საბა, სად ხარ? არ დაიძინო საბა.

მერე უკვე როცა ბაბუს უკან ვიჯექი ცხენზე ვკითხე: - შეჭამდნენ?

- კი - მითხრა ბაბუმ და სახლამდე ხმა აღარ ამოგვიღია.

სამივეს სახლში გვეძინა: მე, ბაბუს და ცხენს. დილით აღარ თოვდა, მზე ანათებდა და ყინავდა. ცხენი დავტვირთეთ და ტყისკენ წავედით, უზარმაზარი და ძალიან სწორი ნაძვი უნდა მოგვეჭრა, მაგრამ მანამდე ბაბუმ სასაფლაოზე შევიაროთო, ბებოს საფლავზე გამხმარი ყვავილები დაალაგა, რომელიც თურმე ქალაქიდან წამოეღო და წავედით საქარიაში. ნაძვი მალე ვიპოვეთ, მთელი საქარიის ტყე უზარმაზარი ნაძვებია, ეს იმხელა იყო ხუთი კაცი ვერ შემოწვდებოდა.

- ეს ხე უნდა მოვჭრათ ბაბუ, მერე ფრთები დავუმაგროთ, ჩავარჭოთ ეზოში და ინვერტორს, აკუმულატორს და სხვა რაღაცებს ზაფხულში ამოვიტანთ, ზაფხულში ამხელა ხეს ვინ მოგვაჭრევინებს? მთავარია ყველამ დაინახოს რომ დგას და ტრიალებს

- ვერ გავიგე - კვლავ ჩაერთო გამომძიებელი - ბატონ სამსონს უნდოდა ხისგან ქარის გენერატორი გაეკეთებინა.

- დიახ - თავი დაიქნია მერაბმა.

- რანაირად? - გამომძიებელმა ახლა რუსიკოს გადახედა. რუსიკომ მხრები აიჩეჩა

- ფსიქიკური პრობლემები ჰქონდა? - გამომძიებელი ისევ მერაბს მიუბრუნდა, მაგრამ მერაბმა პასუხი ვერ მოასწრო, საბამ წამოიძახა: - არა! ოცნება ჰქონდა!

- მშვიდად, მშვიდად, არაა საჭირო აქ ყვირილი - გამკაცრდა გამომძიებელი - მიპასუხე, რატომ გადაწყვიტა თორმეტი წლის ბიჭმა რომელიც სახლიდან არასდროს გადიოდა, მობილურიდან ცხვირი არ ამოუყვია და ტყე მარტო ტელევიზორში ჰქონდა ნანახი, შუა ზამთარში გაჰყოლოდა მოხუცებულ ბაბუას ხისგან ქარის გენერატორის გასაკეთებლად?

საბამ მხრები აიჩეჩა, მერე მშობლებს გახედა, ბოლოს ისევ პოლიციელს მიუბრუნდა და როგორც დიდი ხნის წინ დაკაცებულმა ადამიანმა უპასუხა: - იცით, აღმოჩნდა, რომ სწორედ ეგ ყოფილა სიცოცხლე.

გამომძიებელი ვაშაკიძე

საბა დორემაშვილის დაკითხვის ოქმი, გვერდი მეხუთე.

მოწმე ს. დ. აცხადებს რომ დილიდან თითქმის მზის ჩასვლამდე მოქალაქე ს.დ.(მოწმის ბაბუა) ნაძვის მერქანზე ახორციელებდა დარტყმებს ცულის პირით მისი მოჭრისა და შემდგომში ქარის გენერატორის ბოძად გამოყენების მიზნით, თუმცა როგორც ს.დ. (მოწმე) აცხადებს რამდენიმე საათიანი მცდელობის მიუხედავად ხეს თითქმის არ დატყობია ნაჭდევები და მის კითხვაზე: ბაბუ, რომ ვერ მოვჭრათ? აწ გარდაცლილი ს.დ. პასუხობდა რომ აუცილებლად მოვჭრით მე და შენ და აუცილებლად გავაკეთებთო. მოწმე ს.დ. -მ ზუსტად არ იცის რომელ საათზე, მაგრამ მზე ჩადიოდა როცა აწ გარდაცვლილი ს.დ.(მოწმის ბაბუა) ხის ძირას ჩამოჯდა, ზურგით მერქანს

მიეყრდნო თავი კი ნაჯახის ტარს ჩამოაყრდნო და შვილიშვილს უთხრა: ძალიან დავიღალე, ხუთი წუთი დავისვენებ და გავაგრძელოთო, გპირდები მომავალ ზაფხულს დენიც გვექნება სოფელში და ინტერნატიცო (აწ გარდაცლილი ს.დ. ინტერნატში გულისხმობდა ინტერნეტის გლობალურ ქსელს. დაზუსტება გამომძიებელი ვაშაკიძისა) შემდეგ თვალები დახუჭა და აღარც გაუხელია მიუხედავად იმისა რომ მოწმე ს.დ. ანჯღრევდა და ცდილობდა გაეღვიძებინა.

მოქალაქე ს.დ.-ს გაკვეთამ აჩვენა რომ...

***

- ის ქარის გენერატორია?
- კი, გაგიკვირდებათ და მთლიანად ხისგანაა დამზადებული.
- წარმოუდგენელია, ვინ გააკეთა?
- კი, წარმოუდგენელია ნამდვილად, ახალგაზრდა ბიჭია, ძალიან წარმატებული ბიზნესმენი, განათლება ჰარვარდში თუ ოქსფორდში აქვს მიღებული, მაგრამ მაინც ყველაფერს თავი დაანება და ორი წელია სოფელში გადმოვიდა საცხოვრებლად, ეს გენერატორი თავისი ხელით გააკეთა. ბაბუ ოცნებობდა ამაზეო, ამბობს.
- წარმოუდგენელია!
- კი, წარმოუდგენელია.